საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №277
2024 წლის 22 აგვისტო

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ფინანსთა სამინისტროს აკადემიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 27 აპრილის №253 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ფინანსთა სამინისტროს აკადემიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 27 აპრილის №253 ბრძანებით (ვებგვერდი, 110427027, 27/04/2011, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.033.016177) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. აკადემიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვ. წითლანაძის ქ. №5. აკადემიის ტერიტორიული ერთეულების მისამართებია: ქ. ბათუმი, ბაქოს ქ. №8 და ქ. ქუთაისი, ი. ჯავახიშვილის ქ. №5.“.

2. მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის:

ა) „ი^{1}“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი^{1}) უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, აკადემიის თანამშრომელთათვის გასცეს დანამატი, რომლის ოდენობას განსაზღვრავს კურატორ მინისტრის მოადგილესთან შეთანხმებით;“;

ბ) „ს“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის „ს^{1}“ ქვეპუნქტი:

„ს^{1}) ამტკიცებს ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით პოლიტიკას და შესაბამის დოკუმენტებს;“;

გ) „უ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის „უ^{1}“ ქვეპუნქტი:

„უ^{1}) უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მიმართულებით აკადემიაში მიმდინარე პროცესების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მონიტორინგს;“.

3. 4^{2} მუხლის:

ა) მე-3 პუნქტის:

ა.ა) „ო“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის „ო^{1}“ და „ო^{2}“ ქვეპუნქტები:

„ო^{1}) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, აკადემიის თანამშრომელთა და სხვა პირთა პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციისა და მეთოდური დახმარების უზრუნველყოფა;“;

„ო^{2}) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, აკადემიის თანამშრომელთა და სხვა პირთა შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვისა და მონიტორინგის

უზრუნველყოფა;";

ა.ბ) „ჟ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-4 პუნქტს „თ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ[1]" ქვეპუნქტი:

„თ[1]) სასწავლო პროცესების ხარისხის მართვის სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მექანიზმების შემუშავება, დანერგვა და მართვა;".

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**